საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - დ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 14.02.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 025/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. გ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 14 თებერვალს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას ადვოკატ თ. გ.-ის წინააღმდეგ საჩივრით მომართა დ. ქ.-მა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წელს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმართა საადვოკატო ბიუროს ,,ხ. და გ.-ების ს. ჯ.-ს". 2019 წლის 28 აგვისტოს საჩივრის ავტორმა პასუხი მიიღო მხოლოდ ერთ წერილზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოქალაქეობის არქონის შესახებ განაცხადი შეტანილი იქნა 08.04.2019 წელს, გადაწყვეტილება უნდა მომზადებულიყო 08.10.2019 წელს, ანუ ერთი კვირით ადრე პირველ გადაწყვეტილებამდე.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს ელექტრონული ფოსტით სთხოვა სამართლებრივი საკითხების გაცნობა მისი, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის შესახებ. 2019 წლის სექტემბრის ბოლოს, ადვოკატმა მას დაახლოებით 5 ელექტრონული წერილი გაუგზავნა, რომლებზეც

თანდართული იყო საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მუხლების ამონარიდები, მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ კონვენციის მუხლები, სამინისტროს გარკვეული ბროშურა და ერთი-ორი დასკვნა სხვადასხვა საკითზე, რაც ძირითადად ამ მუხლების დებულებებს ციტირებდა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს შესთავაზა მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება. სამართლებრივი რჩევა, რომელიც თ. გ.-მა მიაწოდა პროცედურულ საკითხებზე იყო საჩივრის ავტორისთვის განხორციელებული უსასყიდლო მოქმედება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ გააფორმა ხელშეკრულება, არ მიაწოდა დასკვნა, რომელიც სჭრიდებოდა განცხადების შესადგენად, თუმცა მისცა რჩევა, რომელიც საჩივრის ავტორის აზრით იყო საქართველოს ხელისუფლების სასარგებლო. კერძოდ, უთხრა რომ საერთაშორისო შეთანხმებას ჰქონდა სავალდებულო ხასიათი და საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები არ ეწინააღმედეგებოდა მას. სატელეფონო საუბრისას ადვოკატმა განუმარტა მას, რომ არ გამოადგებოდა ინგლისური კანონმდებლობის სტილი და ადვოკატმა უარი განაცხადა გაეროს საბაზისო პრინციპების გათვალისწინებაზე.

1.5 საჩირვის ავტორი მიიჩნევს, რომ არ განხორციელდა მისი ეფექტური სამართლებრივი წარმომადგენლობა. ადვოკატმა საჩივრის ავტორის ელექტრონულ ფოსტას ბოლოს უპასუხა 2019 წლის 27 ნოემბერს, სადაც აღნიშნული იყო, რომ კვირის ბოლომე იყო დაკავებული. საჩივრის ავტორმა აღნიშნული წერილის შემდეგ გადაწყვიტა, რომ მოეძებნა სხვა ადვოკატი, რომელიც შეძლებდა მის დახმარებას.

1.6 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა თ. გ.-მა მას, როგორც პოტენციურ კლიენტს არ გაუწია სამართლებრივი დახმარება, მისი რჩევები მორგებული იყო მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ინტერესების სასარგებლოდ, მან არ განუმარტა სასამართლოში საქმის წარმოებისთვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურები, ასევე არ განუმარტა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი, რომელიც ეხებოდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, რის გამოც საჩივრის ავტორს არ მიეცა საშუალება დაეცვა საკუთარი თავი. დ. ქ.-ის განმარტებით, ადვოკატ თ. გ.-თან ურთიერთობის პერიოდში მან დაკარგა დრო ახალი ადვოკატის მოძიებისთვის.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 28 თებერვალს ადვოკატმა თ. გ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, საჩივრის ავტორი არ ყოფილა მისი კლიენტი, რასაც ასევე ადასტურებს დ. ქ.-ც, როდესაც ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ საჩივარში საკუთარ თავს „პოტენციურ კლიენტად“ მოიხსენიებს და აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საადვოკატო მომსახურების თაობაზე ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს უსასყიდლოდ მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებულ მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლების შესახებ. ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის კომუნიკაცია ხორციელდებოდა ელექტრონული შეტყობინებების გაგზავნით. კერძოდ, 16.09.2019 წელს ელექტრონული შეტყობინებით საჩივრის ავტორს ეცნობა, რომ მისი საკითხი იყო მოკვლევის პროცესში, ამ დროისთვის არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება და ის არ იყო საკონსულტაციო

ჯგუფის კლიენტი, რის გამოც არ ჰქონდა თანხის გადახდის ვალდებულება. ხელშეკრულების დადება საქმის პერსპექტიულობის შესახებ მოკვლევის შედეგებზე იყო დამოკიდებული. 18.09.2019 წლის შეტყობინებით დ. ქ.-ს გადაეგზავნა ქართული და საერთაშორისო საკანონმდებლო მასალა და განემარტა, რომ სპეციალისტის დასკვნის შედგენა ნიშნავდა კანონის ნორმების გამოყენებას და მათ განმარტებას მისი საქმის გარემოებებთან მიმართებით. მას ამისთვის უნდა დაედო მომსახურების ხელშეკრულება საკონსულტაციო ჯგუფთან. 10.10.2019 წელს საჩივრის ავტორს გაეგზავნა შეტყობინება, მას შემდეგ, რაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ დ. ქ.-ს განცხადებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებაზე. საჩივრის ავტორის თხოვნის შესაბამისად, ადვოკატმა მას განუმარტა საქმეში დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა, ასევე თ. გ.-მა განუმარტა მას, რომ მისგან ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე უკვე სრულად იყო ინფორმირებული და უფასოდ კონსულტაციებს აღარ გაუწევდა. ხელახალი მომართვის გამო, ადვოკატმა 25.10.2019 წელს შეტყობინება გაუგზავნა საჩივრის ავტორს, სადაც განმეორებით შეახსენა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ კანონის გარკვეული დანაწესები და „მოქალაქოების არმქონე პირთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1954 წლის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების დამდგენი საბუთები. ჩამოთვლილი დოკუმენტაციიდან საჩივრის ავტორს ადვოკატისთვის რაიმე საბუთი არ წარუდგენია, შესაბამისად, მასთან არც მომსახურების ხელშეკრულება დადებულა. 27.10.2019 წელს საჩივრის ავტორმა კვლავ მისწერა ელექტრონული შეტყობინება ადვოკატს. შეტყობინებაში აღნიშნული იყო, რომ 2020 წლის 08 იანვრისთვის ელოდებოდა ახალ გადაწყვეტილებას, მაგრამ მის ვიზას ვადა ეწურებოდა, რის გამოც საქართველოს ტერიტორიიდან გაძევების ეშინოდა. საჩივრის ავტორი ადვოკატს ატყობინებდა, რომ მას არ ჰქონდა გარანტია იქნებოდა თუ არა თ. გ. მისი ადვოკატი და ელოდა პასუხს ადვოკატი აიღებდა თუ არა მის საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართავდა სხვა ადვოკატს. აღნიშნული შეტყობინების შემდეგ, ადვოკატმა მეორე დღესვე აცნობა დ. ქ.-ს, რომ იყო დაკავებული, რის შემდეგაც საჩივრის ავტორს მისთვის აღარ მიუმართავს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მასა და საჩივრის ავტორს შორის არ ყოფილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ვინაიდან მათი კომუნიკაცია მოიცავდა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მოპოვებისათვის დაწესებული საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნების გაცნობას. ასევე, დისციპლინური საქმის მონაწილე მხარეებს შორის არ გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, საჩივრის ავტორმა ადვოკატს არ მიაწოდა დოკუმენტაცია და ადვოკატმა თ. გ.-მა დ. ქ.-ის სასარგებლოდ არ დაიწყო იურიდიული მოქმედებების განხორციელება, რის გამოც არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე მუხლის დარღვევის საფუძველი. თ. გ.-ის განმარტებით, საჩივრის ავტორი „ხ. და გ.-ების ს. ჯ.-თან“ მიმართვამდე და მას შემდეგაც საქმეს აწარმოებდა სხვა იურისტების დახმარებით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 დ. ქ.-მა ეთიკის კომისიას მიმართა 2020 წლის 14 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა თ. გ.-მა მას, როგორც პოტენციურ კლიენტს არ გაუწია სამართლებრივი დახმარება, კერძოდ არ განუმარტა საქმის წარმოებისთვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურები, ასევე არ განუმარტა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი, რომელიც ეხებოდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, რის გამოც საჩივრის ავტორს არ მიეცა საშუალება დაეცვა საკუთარი თავი. დ. ქ.-ის განმარტებით, ადვოკატ თ. გ.თან ურთიერთობის პერიოდში მან დაკარგა დრო ახალი ადვოკატის მოძიებისთვის.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლი).
>
> ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი).

5.3 პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის მითითებების შესაბამისად და მისი ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა.

5.4 მხარეთა ახსნა-განმარტებებით და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატ თ. გ.-სა და საჩივრის ავტორს შორის არ გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რადგან ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ ჰქონდა დაკავებული რეჟიმი, რის შემდეგაც დ. ქ. ადვოკატს აღარ შეეხმიანა. მათი ურთიერთობა მოიცავდა

წერილობითი სახის კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტის საშუალებით, 2019 წლის 16 აგვისტოდან 2019 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით. კერძოდ, დ. ქ. ელექტრონული ფოსტის მისამართიდან - ---.com ადვოკატს შეტყობინებებს უგზავნიდა ელექტრონული ფოსტის მისამართზე - ---.ge. საქმეში წარმოდგენილი ელექტრონული ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებების მიხედვით, ადვოკატი თ. გ. დ. ქ.-ს განუმარტავს მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ მოქმედ ნორმატიულ მასალას, აცნობებს იმ საჭირო მოქმედებათა და დოკუმენტაციათა ჩამონათვალს, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები. ასევე, თითქმის ყოველი შეტყობინება უკავშირდებოდა წერილობითი სახით ხელშეკრულების შედგენაზე ინფორმაციის მიწოდებას, რომელსაც მხარეები სამომავლო საადვოკატო ურთიერთობის დაწყების წინაპირობად მიიჩნევდნენ. შესაბამისად, საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა მოიცავდა მხოლოდ კონსულტაციებს და ადვოკატის მხრიდან ადგილი არ ჰქონდა საჩივრის ავტორის სასარგებლოდ რომელიმე ორგანოსთვის მიმართვას ან რაიმე სახის დოკუმენტაციის შედგენას.

5.5 მიუხედავად იმისა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ვერ შედგა, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა მაინც გულისხმობს ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობას, რადგან ,,ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან“ (ეთიკის კომისიის 20.08.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე N027/11). ადვოკატმა ეთიკის კოდექსის მოთხოვნები უნდა დაიცვას პოტენციურ კლიენტთან მიმართებაშიც, რადგან მასთან კომუნიკაციის პერიოდში და მისგან ინფორმაციის მიღებით ადვოკატს წარმოეშობა მნიშნელოვანი ეთიკური ვალდებულებები, როგორიცაა ინფორმაციის კონფიდენცილურად დაცვა და ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის თავიდან აცილება.

5.6 მოცემულ შემთხვევაშიც, საჩივრის ავტორსა და ადვოკატ თ. გ.-ს შორის კომუნიკაცია მოიცავდა ადვოკატსა და პოტენციურ კლიენტს შორის ურთიერთობას, ვინაიდან დ. ქ. ცდილობდა სამართლებრივი პრობლემის გაცნობას და ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ადვოკატის მომსახურების პირობების გარკვევას. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ამ ურთიერთობის პერიოდში, ადვოკატის მოქმედებები იყო კვალიფიციური და კეთილსინდისიერი, ვინაიდან ადვოკატი ახდენდა პოტენციური კლიენტის ყველა სამართლებრივ დეტალში გარკვევას, მისთვის გასაგებ ენაზე და გასაგები ფორმით. შესაბამისად, დ. ქ. ინფორმირებული იყო მისი საქმის სამართლებრივ დეტალებზე და შესაძლებლობა ჰქონდა თავად მიეღო გადაწყვეტილება მომავალში განსახორციელებელ სამართლებრივ მოქმედებებზე.

5.7 რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ მან დაკარგა დრო სხვა ადვოკატის მოძიებისთვის, საქმეში წარმოდგენილი შეტყობინებების მიხედვით დგინდება, რომ დ. ქ.-ს ჰყავდა ადვოკატი, ადვოკატ თ. გ.-ს კი მიმართა მისი ადვოკატის შვებულებაში ყოფნის გამო. ამასთანავე, დისციპლინურ მხარეებს შორის კომუნიკაცია გრძელდებოდა 2019 წლის 16 სექტემბრიდან 2019 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით, კომუნიკაცია იყო მხოლოდ ელექტრონული ფოსტით და მხარეებს ხელშეკრულების დადების მიზნით რაიმე ნაბიჯი არ გადაუდგამთ, მიუხედავად იმისა, რომ დ. ქ. თავიდანვე ინფორმირებული იყო, რომ ხელშეკრულების გარეშე ურთიერთობა მოიცავდა

მხოლოდ კონსულტაციებს. შესაბამისად, ამ პერიოდის განმავლობაში, საჩივრის ავტორს ჰქონდა შესაძლებლობა დამატებით მოეძია სხვა ადვოკატი.

5.8 დებულების 28.1 მუხლის მიხედვით, „საპროცესო კოლეგიას შეუძლია შეხვდეს მხარეებს ცალ-ცალკე და მოსთხოვოს მათ წერილობითი ახსნა-განმარტებების გაკეთება მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით დაუსვას მხარეებს შეკითხვები“. ეთიკის კომისიას უფლება აქვს დისციპლინური საქმეთა განხილვის დროს გადაწყვეტილება მიიღოს მხარეთა ზეპირი ახსნა-განმარტებების მოსმენის გარეშე. დ. ქ.-ის მიერ წარმოდგენილი საჩივრის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების შედეგად, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მხარეებთან გასაუბრების გარეშე, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, პრეტენზიის სამართლებრივი ხასიათი და მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ თ. გ.-ის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევა და არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის დარღვევის თაობაზე, რის გამოც ადვოკატ თ. გ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N025/20 ადვოკატ თ. გ.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
1. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/